ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL

განკარგულება:გ-27.272108910

თარიღი:30/03/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 16**

**30 მარტი 2021წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნებასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და $106^1$ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**1.** მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს:

**ა)** ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებთან ერთად, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება შესაბამის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების - უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, აგრეთვე ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

**ბ)** უზრუნველყოს უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება.

**2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი